№ 1197 ხუთშაბათი, 29 მაისი 1914 წ. № 1197

# სახალხო გაზეთი

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკაის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოფისი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

## ახალი კლუბის ბალი ქართული თეატრის უკან

1-ლ ივნისს, კვირას, 1914 წ. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ახალი კლუბის ბაღში გაიმართება

## დიდი სეირნობა

გასართობებით ბავშვებისთვის და დიდებისთვის:

ამერიკული ბაზარი, ბედნიერი კლიტე, დაუშრეტელი ყანწი, თვალთმაქცი, კონფეტტი, ყვავილები, ამურის სიცელქე, დედოფალა, რებუსი, რგოლების სროლა, სინემატოგრაფი და ცეკვა.

**სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი 4 საათზე.**

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 25 კაპ., პატარებისთვის და მოწაფეთათვის 15 კაპ.

სეირნობის გამგე წ. კ. გ. ს. გამგეობა. 1236

---

### ტფილისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ

### ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

გადაიდო 8 ივნისისათვის. ყრილობა შესდგება ქ. ტფილისს, ქართულს თეატრში, **კვირას, 8 ივნისს,** 1914 წ. დღის 12 ს. **ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:**

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც კი რამე დამსახურება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულს კითხვებზედ.
6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
8) მეძღვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მ., დანარჩენნი—2 მ. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ პირადად და წერილობით ტფილისის დრამატ. საზოგად. კანტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში პირველ ივნისამდე. ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი. 1193

---

### ქუთაისის ქალაქის თეატრი

**შაბათს, 31 მაისს,**

### გ. ვერონტი ქიქოძე

წაიკითხავს **ლექციას** შემდეგს თემაზე:

### მენიე და როდენი.

**ლექციის დროს ბუნდოვანის ფარნით ნაჩვენები იქნება შემდეგი ნაწარმოებები:**

1) **მენიე:** მუშის ბიუსტი, მაღაროდან ამოსვლა, მთა-მადნის მუშა, მუშა წყლის სმის დროს, დაკარგული შვილი, მკა, მრეწველობა, მაღარო, ნავთსადგური, მთესავი.

2) **როდენი:** ვიქტორ ჰიუგო, ომის გენია, ოცნება, ფავნი და ნიმფა, ყმაწვილი ვაჟი და ქალი, აზრი, პარქი და ყმაწვილი, მოხვევნა (ორი ვარიაცია), მშვიდობით, დანაიდა, ხელები, მოაზროვნე, მადამ სემპსონი, რომეო და ჯულიეტა, ქარიშხალი, აპოლონი, კრიტიკოსი ჟეფრუა, პირველი განშორება, დამჭკნარი მშვენიერება, პიგმალიონი და გალატეია, ევა, კარიატიდა, ნიობეია, სფინქსი, ამოცანა, კალეს მოქალაქენი, სასოწარკვეთილება, ცხვირგატეხილი მამაკაცი, მუდმივი გაზაფხული, ტვირთ-მძიმე, ბალზაკი, იკაროსი, ხელი ღვთაებისა, კოცნა, მუდმივი კერპი.

---

### ხერთვისის საზოგადო კლუბი

**გადაიტანა საზაფხულო სადგომში** (მიხეილის ქუჩა, 131, ბაღი ინჟენერ ბარტისა, სინემატოგრაფის „აპოლლო“-ს გვერდით.

**დღეს, 29 მაისს,** გაიხსნება საზაფხულო შენობა კლუბისა. პროგრამა:

### სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა.

საერთო ვახშამი ხელის მოწერით. კლუბში შესვლა სტუმართათვის 25 კ. დასაწყისი საღამოს 9 ს. 1237

---

### ახალი კლუბი

**(საზაფხულო თეატრი)**

ხუთშაბათს, 29 მაისს, ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

### დუელი,

კომედია 1 მოქ., გად. ნ. გალუსტოვის მიერ.

2) **სიმართლე,** შარჟი 1 მოქ. თარგ. მ. ქორელისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ჩერქეზიშვილი ე. ბ-ნნი: **აბაშიძე გ.** ზუგლარიძე ბ., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი, ა., ქორელი მ. ხონელი შ. ◆ დასაწყისი საღ. 9 ს. სტუმრ. იხდიან კლუბში შესვლისთვის. ჩვეულებრივ ყოველ დღე ბაღში უკრავს რუმინული ორკესტრი **კოვაჩის** ხელმძღვანელობით საღ. 10 ს. ღამის 3 ს.-დე. 1211

---

**ელექტრონის, რენტგენის, სინათლის**

### სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

### მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

---

### ქიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

იწვევს საზოგადო ჩვეულებრივ

### წლიურ კრებას

**8 ივნისს, დილის 12 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში.**

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება საბჭოსი,
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა,
3) 1913 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება,
4) 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება,
5) არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიისა.

1238

---

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი** მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი** ზ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე** შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს.<br>**ფედოროვი** ი. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>**კიკალაშვილი** პ. ლ. ყოვ.-დღე 1 ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი** მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი** ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი** რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა** ლ. ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე** ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **მიქელაძე** შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფედოროვი** გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>**კიკალაშვილი** პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი** ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი** გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათინიანცი** ნ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი** მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე** ა. ნ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. ძშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული, ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. ფ. 1070

---

### ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)**

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი $11$—$11^{1}/_{2}$ საათამდე.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^{1}/_{2}$ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.
**მაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ. 1023

### წამლობა „914“ და „606“.

---

### დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა



**მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.**

ხუთშაბათს, 29 მაისს, გაიმართება

### უდიდესი საგასტროლო წარმოდგენა.

1 გასტროლი პატარა ქალ-ჟოკეის ქ-ნ მატილდისა, რომელიც თავისი საუკეთესო ნომრისათვის პეტერბურგის საზოგადოებას „მოდერნის“, ცირკში ამ სეზონის განმავლობაში დიდად მოსწონდა. 1 დებიუტი მოდური ორთა ცეკვა ბ.ბ. სობალოვსკებისა, შეასრულებენ ტანგოსა და ევას მონაწილეობს აგრეთვე კლასიკ. მუს. ექსცენტრიკები ბ.ბ. როზეტები, ქ-ნი ელენე იუპატოვისა, „ელ ვის ხალხი“, ჯამბაზი როსინები და მთელი დაჯილდოვებული დასი ცირკის დირექტორის ფ. იუპატოვის მეთაურობით. დაწვრილებით პროგრამებში.

ცირკის დირექტორი ფ. იუპატოვი გამგე ხუნდაძე.
დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ ს. 401

---

### გორის პირველი კერძო სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე** მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვარიშვილი** მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
**მესხიშვილი** ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
**ბრიუკნერი** მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**მინზბურგი** ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.** ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1088

---

### სანატორიუმი „რუსული დავოსი“,

**აბასთუმანში.**

**ჭლექიანთა, სასუნთქავ-ასოებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის.** საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთელით და სხვა თვეში 120—200 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს ზ. მეზრაბიანცს,** აბასთუმანში. ზღვის ზედაპირიდან 1278 მეტრ. ტფ. გუბერ. 1087

---

### ახლად გაიხსნა სასტუმრო სასადილო „სინათლე“

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „სიცილია“ და „არარატი“

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები“.

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერ[illegible] ვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ს[illegible] ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, [illegible] გამართულია ელექტრონ[illegible] ლი კაბინეტი.

ა. ბოლოზი [illegible]

**ექიმი** გ. დ. წი[illegible] ორდინატორი [illegible] ტეტისა და სა[illegible] შინაგან ს[illegible] შაბა[illegible] მყოფ[illegible] სპე[illegible]

# საქალაქო პარკი ვერაზე

**პირველ-ხარისხოვანი რესტორანი**

ტელეფონი № 14—66

სამზარეულო აზიური და ევროპიული.

**მიიღება დაკვეთა სადილებისა, ვახშმებისა და სხვ.**

**ყოველ დღე** საღ. 7 ს. ღამის 2 საათამდე, ხოლო კვირაობით კი ნაშუადღევის 2—5 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე,

**უკრავს საკონცერტო სიმებიანი ორკესტრი**

საუკეთესო სოლისტებით, თავისუფალ ხელოვანის

—✦ **ლ. სტუპელ-ის** ✦—

ხელმძღვანელობით.

## ნავებით სეირნობა



**დილით** ქართული თეატრი **დილით**

**კვირას, 1 ივნისს,** დილით ქართულ თეატრში გაიმართება

## სალიტერატურო-სამუსიკო დილა

## ლ ე ქ ც ი ი თ

I

## ილია ნაკაშიძის ლექცია:

## რა არის ადამიანის სიცოცხლე?

II

**ლექსები და სიმღერები**

წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს: **აკაკი, ნ. ერისთავი, ი. გრიშაშვილი, ბ. ახოსპირელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე.** ტფილისის ქართველ მომღერალთა გუნდი **მ. კავსაძის** ლოტბარობით შეასრულებს ხალხურ სხვა და სხვა სიმღერებს. გლეხურს ჩამოუვლიან ლებანიძე და ბაქაქური.

III

**ხუმრობა და სიცილი.**

ირეთელი წაიკითხავს იუმორისტულ ლექციას: **„ჩვენი მგოსნები“.** **გ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე** იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს. **რ. ჯიბლაძე** წაიკითხავს გურულ სცენებს. **ი. სალირაშვილი** დაუკრავს თარზე. დასასრულ გურულ ტანისამოსში გამოწყობილი გურული იცეკვებს ამოდებული ხლმით.

ადგილ. ფასი დაკლებულია. დასაწყისი დილის 12-ნახევარ საათ.

1239 გამგე **ბ. ბეგლარიძე.**



## საგურიანოში

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმჯობესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078



## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ.ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელიანცე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევა**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**გორბაჩოვა**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გნუჩკოვი**—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ჩუდნოვსკი**—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ოთხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინზე**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევა**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082



## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

## მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084



**ექიმი** **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.



**ექიმი** **ზ. ა. მიქელაძე** მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16



**ექიმთა საზოგადოების**

## სამკურნალო

**მუდმივ საწოლებით.**

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

**ტელეფ. № 1026.**

**ავადმყოფების მიღება:**

**აგაჯანოვი მიხეილ** — საშარდე სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

**ელჩიევი მ. რ.**—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

**ელჩიევი ლ. რ.**—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

**კიმონტი მ. პ.**—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

**მაგაკიანი მ, ნ.**—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, ...ი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის ...ების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ...ნსულტაცია, მორიგებით. სტა... ავადმყოფო) განყოფილება ...ტისაგან შესდგება.

...“, „606“. 1040

...სიტეტის ...ორი

...ცო


# ქართული პრესა

გაზეთი **„იმერეთი“** ჩვენი პრესის ზნეობრივ დაქვეითების მიზეზს იმაში ჰხედავს, რომ ჩვენში სწერენ

„არა მარტო ჟურნალისტები, არამედ სწერს მთელი „პუბლიკა“, მთელი საქართველო და კამათსაც მუდამ დაუსრულებლობის ხასიათი ეძლევა. სხვათა შორის, ერთი არა სასურველი თვისება ქართულის პრესისა სწორედ ამაში მდგომარეობს, და ამაში დამნაშავენი თვით რედაქციები არიან. ჩვენი რედაქციები ჭეშმარიტებას თავის პოზიციებში კი არ ჰხედავენ, მას თავის ავტორიტეტით კი არ ამაგრებენ, არამედ ქუჩაში ეძებენ მას, ხარისხს კი არა აკუთვნებენ მნიშვნელობას,—რიცხვსა და ამიტომაც არც ერთ ქვეყანაში არ არის ისე გამრავლებული ეგრედწოდებული „შეგნებული მკითხველი“, „შეგნებული მუშა“, „შეგნებული გლეხი“ და სხვა მოხალისენი ჟურნალისტიკისა, როგორც ჩვენში. ასეთი მდგომარეობა უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ჩვენში მწერლობა ...ა მწერლები კი არ მეფობენ, გა...ბულია „ანა-ბანა“ და წერა... მცოდნენი. ცხადია, რომ ...ებებში პრესა უნდა და... ...ო და ეს ასეთ მოხ... ...ბს ავტორიტეტი ...ა, რადგანაც

იგი ყოვლის გამაუპიროვნებელმა ფსევდონიმმა დაჩრდილა და ნიჭისა და ცოდნის მაგიერ პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკაში ამიერიდან ისტორიული „რვა მუშა“ გამეფდა“.

საბედნიეროდ, ხალხის, მუშების და გლეხების წერილების კილო ყოველთვის უფრო თავდაჭერილი და ზრდილობიანია, ვიდრე ინტელიგენტ მწერლებისა და ჟურნალისტებისა. ჩვენი უბედურობა დემოკრატობა და მდაბიო ხალხის სამწერლო თუ სხვა ასპარეზზე გამოსვლა კი არაა, არამედ დემაგოგობა, რომელიც ინტელიგენტებისაგან, ანუ უკეთ, მოინტელიგენტე ელემენტებისაგან მომდინარეობს.

* * *

ჩვენს დასელებს ტირიფონის ველის შესახებ თითქმის სიტყვა არ დაუძრავთ, ალბად „ბურჟუაზულ და ნაციონალისტურ“ საქმედ თუ მიაჩნიათ 20-30 სოფლის გლეხებს ტერიტორიის დაცვა.

ახლა მოიგონეს რაღაც ბედზე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ცილი და ჭორი გაავრცელონ ჩვენ შესახებ. ჩვენის გაზეთის მე-1167 (1914 წ. 20 აპრილი) კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი ბ. მწიგნობარისა ტირიფონის ველის სოფლებიდან რომ სოფლელებმა დეპ. გელოვანს თხოვნა გაუგზავნეს და დახმარება სთხოვესო.

თუმცა ეს ცნობა სრულიად უტყუარი ფაქტია, მაგრამ გუშინ წინ **„ახალ ფიქრში“** და დღეს **„აზრში“** ვინმე დიმ. ფანჯარაშვილი საქვეყნოდ აცხადებს, ტყუილი არისო.

ბ. დასელებო, თუ ვ. გელოვანი გძულთ, ტირიფონელმა გლეხებმა რა დაგიშავეს?

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

**27 მაისის სხდომა.**

**როძიანკო თავმჯდომარეობს. მინისტრთა ლოჟაში ვაჭრობის მინისტრია.**

ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას განაგრძობენ.

**გოსტროტინი** მონღოლეთთან დამოკიდებულებას ეხება და აცხადებს, რომ მთავრობამ ხელსაყრელი დროით ვერ ისარგებლა მონღოლეთთან საალებ-მიცემო საქმის მოსაწყობად. მონგოლეთის ადებმიცემობის საქმეში ჩინეთი და იაპონია თანდათან მტკიცედ იდგამენ ფეხს. იაპონია სამხედრო სიძაგრეებსაც კი აგებს. რუსეთისათვის მონღოლეთში გავლენის გაძლიერება მით უფრო საჭიროა, რომ მონღოლეთი თითქმის სამი ათასი ვერსის მანძილზე მოსაზღვრეა ციმბირისა. საჭიროა ციმბირი გარდაიქცეს წარმოების ცენტრად, რომ ადგილობრივ მზადდებოდეს ციმბირისა და მონღოლეთისათვის საჭირო საქონელი, რადგანაც შიდა რუსეთიდან საქონლის გაზიდვა ძვირად ჯდება. საჭიროა არსებითად შეიცვალოს აზიაში ეკონომიური პოლიტიკა რუსეთისა. (მარცხნივ ტაში).

**გერშინინი.** მთავრობამ ათასგვარის შემავიწროებელის ზომებით უცხოეთის ნაწარმოები მიუწვდომელი გაჰხადა მომხმარებელთათვის და სინდიკატებს შესაქმელად პირში მისცა. ციმბირში მთავრობა სააბალშენო პოლიტიკას აწარმოებს. ციმბირის შემოსავლიდან მეტ-ნაკლები ნაწილი ჰხმარდება ადგილობრივ საჭიროებას, უდიდესს ნაწილს კი მთავრობის ცენტრალური დაწესებულებანი ჰყლაპავს.

სათათბირო მუხლობრივ განხილვას შეუდგა.

**როდიჩევი.** სამინისტროს მიერ საქციონერო საზოგადოებათა თაობაზე მიღებულ დადგენილებით გამოწვეული კრიზისი საფიქრებელია ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისად გარდაიქცეს. გაერთიანებულ მთავრობაში ყველა მინისტრები პასუხის მგებელნი არიან რუსეთის პოლიტიკის მიმართულებაში და ვაჭრობის მინისტრი უფრო მეტის თავგამოდებით უნდა სცდილობდეს პიროვნების ინტერესთა გამოსარჩლებას და მთავრობას მოუწოდოს 17 ოქტომბრის გზისაკენ სახელმწიფოს სასარგებლოდ და ხალხის საკეთილდღეოდ. (მარცხნივ ტაში).

**სკობელევი.** ხარჯთ-აღრიცხვის კარგად შედგენა სახელმწიფო მეურნეობის კეთილ დღეობას კიდევ არ მოასწავებს. ხარჯთ-აღრიცხვის ზრდა არ ჰნიშნავს ჩვენი ქვეყნის მწარმოებელ ძალთა ზრდას. ლამაზ ხარჯთ-აღრიცხვის მიუხედავად, მთავრობა მაინც იძულებული იქნება უცხოეთის ბანკირებს მიჰმართოს რომ საქმე როგორმე მოაკოწიწოს.

1 და 3 უკანასკნელ პარაგრაფს ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის რედაქციით იღებენ.

მე-5 პარაგრაფი უმაღლეს სასწავლებლებს ეხება.

**ვორონკოვი.** მეტად სატირელ მდგომარეობაშია დონის პოლიტეხნიკუმი, რომელსაც არ გააჩნია არც წესდება, არც დროებითი სახელმძღვანელო წესები. ინსტიტუტს განაგებს სამინისტროს მიერ დანიშნული რექტორი, რომელსაც უფლება აქვს მინიჭებული თავისი სურვილისამებრ შესცვალოს დროებითი წესებიცა და საბჭოს დადგენილებანიც.

ინსტიტუტს არ გააჩნია ფერმა და ინსტიტუტის მამულს თვითონ რექტორი განაგებს. ინსტიტუტის გამოსაბრუნებლად საჭიროა იქ ავტონომიის შემოღება.

**გოდნევი** სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენებას კითხულობს, რომელიც ნავარაუდევია 34,129,663 მანეთად.

**რისლევი** პრიამურის ოქროს სამრეწველოს თაობაზე მოხსენებას კითხულობს. ოქროს მრეწველობამ დაიწია, ვაჭრობა მოკვდა. საჭიროა ამ მხარეს ფართე თვითმართველობა მიენიჭოს, ხელი უნდა შეეწყოს მუშათა ორგანიზაციებს და მაშინ ყვითელი შრომა ბუნებრივად მოესპობა.

**საღამოს სხდომა**

**როძიანკო თავმჯდომარეობს.** მიღებულია შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, ეკატერინოსლავში 19 მაისს გაფიცულ მებულკეთა მიმართ პოლიციის უკანონო გამგეობის თაობაზე.

სათათბირო წევრთა და საბჭოს არჩეულ წევრთა სიტყვის თავისუფლების კანონპროექტის განხილვა გრძელდება.

**შეჩკოვი.** უმაღლეს დაწესებულებათა მოქმედებისა და სიტყვის თავისუფლება ექვს გარეშეა. საკითხი ის არის, ეს თავისუფლება განუსაზღვრელი აბსოლუტურია თუ არა. საბჭოსა და სათათბიროში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ისეთ პირებს, რომელნიც სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგნი არიან და აქ იმყოფებიან, როგორც უცხო ბანაკში შეპარული ჯაშუშები...

**თავმჯდომარე** წესიერებას მოაგონებს.

შეჩკოვი ტრიბუნიდან ჩამოდის.

**გელოვანს** მეტად მიაჩნია დეპუტატთა სიტყვის თავისუფლების მტკიცება, მაგრამ, რადგანაც მთავრობამ სახელმწიფო საბჭოს 1 დეპარტამენტის დახმარებით, დეპუტატის სიტყვის თავისუფლება არარაობად აქცია და მოიწადინა სათათბიროში მთლად მოსპოს ეს თავისუფლება. ვინ (?!), ისინი, რომელთაც ესურვილებათ რუსეთის დაბრუნება უკან, სამარცხვინო წარსულისაკენ (ხმაურობა და ყვირილი მარჯვნივ. თავმჯდომარე გელოვანს წესიერებას მოაგონებს. გელოვანი განაგრძობს), თუ ისინი, ვინც რუსეთს წინ მიეზიდება, სინათლისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ?

**ხნეუნიკოვი.** წელიწად ნახევრის წინ რომ სათათბიროს მიეღო მთელი ჩემი წინადადება განსაკუთრებულ სადისციპლინო სასამართლოს შედგენისა, სათათბიროში აღარ იქნებოდა ისეთი სამწუხარო ამბები, როგორც ჩხეიძის საქმეა. საქმე საკონსტიტუციო გარანტიები კი არ არის, რომელიც კანონ-პროექტით იდევნება, არამედ სათათბიროს გაჯანსაღებაა.

**ჩხეიძე.** თუ დეპუტატებს სიტყვის სრული თავისუფლება არ ექნებათ, სათათბირო ლანდი იქნება. არც ერთი თავისუფლებათაგანი არ იბოგინებს, თუ დეპუტატის სიტყვის თავისუფლება არ იქნება. სიტყვის თავისუფლებას პირველი მუჯლუგუნი ოქტომბრისტებმა უთავაზეს, ეხლაც მთავრობა მხოლოდ ცდილობს დეპუტატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, სათათბიროს პრეზიდიუმმა კი უკვე გააუქმა იგი. სათათბიროს უმრავლესობა ლეღვის ფოთოლს აფარებს და ჰსურს ქვეყნის წინაშე გააკეთოს ლამაზი მიმოხვრა, რომელიც არავითარ მოვალეობას არ დააკისრებს.

**პეტროვსკი** ს.-დემოკრატები თავს გამოიდებენ სიტყვის თავისუფლებისათვის და სწამთ კიდეც, რომ ამ ბრძოლაში მთელი ქვეყანა მხარს დაუჭერს მათ.

**ფირსოვი მეორე.** თუ სიტყვის თავისუფლება მოისპო, გლეხთა დეპუტატები, ადგილობრივ მთავრობის მოხელეთა შიშით, ხმას ვეღარ ამოიღებენ გამომგზავნელთა ჭირ-ვარამზე.

**ეფრემოვი.** პროგრესისტები ხმას მისცემენ მორიგ საკითხებზე გადასვლას ყველა შესწორებათა მიუღებლად. თუ დეპუტატების სიტყვის თავისუფლება მოესპობათ, ეს დაამცირებს მათდამი ნდობას და სათათბიროს ღირსებას გააქარწყლებს.

**მილიუკოვი.** ეხლა საჭიროა სრულებით ნათელი საკანონმდებლო ნაბიჯის გადადგმა. ამისათვის კადეტები ყოველგვარ შესწორების წინააღმდეგნი არიან და მორიგ საკითხებზე გადასვლას დაუჭერენ ხმას.

**შულგინი.** რადგანაც ნაციონალისტები თავის წევრებს ხმის მიცემის თავისუფლება მიანიჭეს, მე ხმას მივცემ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლას; მით უმეტეს, რომ ეს კანონ-პროექტი ნაკლებ ბოროტებას შეიცავს, ვიდრე მთავრობის განმარტებანი დეპუტატის სიტყვის თავისუფლებისა.

**ლიუცი.** ერობის მომხრე ოქტომბრისტები კანონ-პროექტს მისცემენ ხმას, რადგანაც დეპუტატთა სიტყვის თავისუფლების გარეშე სათათბიროს არსებობა უაზრობაა.

მუხლობრივ განხილვა გადასწყვიტეს.

**ზამისლოვსკის** შესწორებას აცხადებს თავმჯდომარე. შესწორებაში ნათქვამია: დეპუტატის სიტყვის თავისუფლება არა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საქმე ეხება ღვთის გმობას, მკვრეხველობას, მეფისა და მისი ოჯახობის შეურაცხყოფას, სახელმწიფო საიდუმლოებათა გაცემას, უმაღლეს მთავრობისადმი კადნიერ საქციელს, სათათბიროს თავმჯდომარის შეურაცხყოფას, დანაშაულობის ჩასადენ მოწოდებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის 129 ძალით.

წინადადება შეიტანეს, ეს შესწორებანი განუხილველად დასტოვონ.

**გრაფი კაპნისტი მეორე** ამ წინადადებას ემხრობა და ამბობს: ყველა ამ შესწორებას მიზნადა აქვს, შეზღუდოს სათათბიროს დაწესებულებათა მე-14 მუხლში მოხსენებული უფლებანი, რის გამოც ყოვლად შეუწყნარებელია მათი მიღება. სათათბიროს დარბაზში თვითონ ფიქრიც კი წმინდათა-წმინდის შელახვისა და უმაღლეს მთავრობის უპატივცემულოდ ხსენებისა, შეურაცხყოფაა თვითონ სათათბიროსი.

**ზამისლოვსკის შესწორებანი უარჰყვეს** 163 ხმით 97 წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ 24 მაისს, ნაშუადღევის ორს საათზე, ბელინსკის ქუჩაზე, ხაჩატურ ხითაროვის სახლის (ახლად აშენებენ) გამირი ჩამოინგრა. გამირმა დააშავა სამი მუშა და ერთი გამვლელი ქალი. ერთი დაშავებულთაგანი აბგარ მინასიანცი ჩქარა გარდაიცვალა.

✦ **შეიპყრეს** გიგო დავითის ძე კოზაშვილი 19 წლისა, სარქის ნერსესიანცი და მათე მელიტონის ძე ჟღეიკაშვილი, 18 წლისა, რომელთაც 15 მაისს ალიხანოვის საკანდიტეროს მსახურის ვარდო ილიას ძის აბულაშვილის მოკვლა ბრალდებათ საკანდიტეროს კასის გაძარცვის განზრახვით. პოლიცია დაეძებს აგრეთვე იოსობეკ ნაზარიანცს, რომელიც დაიმალა. კოზაშვილმა თავისი დანაშაული უკვე აღიარა.

✦ **შეიპყრეს** რაჭის მაზრის სოფ. კრიხის მცხოვრები ალექსი იოსების ძე კუბლაშვილი, რომელმაც 25 მაისს, საღამოს, ვერის პარკის გასწვრივ მტკვარში გადააგდო ქვრივი ქალი მარიამ ვასილის ასული კორძაია. ქალი დახრჩობას გადაარჩინეს.

✦ **ტფილისს ჩამოვიდა** ინგლისელთა ჯგუფი, რომელიც საზღვარგარეთ გასაგზავნად ამიერ-კავკასიაში შინაურ ფრინველების ყიდვას აპირებს.

✦ კოტე მესხის გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო **სამგლოვიარო წერილი** იაროსლავიდან. აქაურ ქართველ სტუდენტებისა და პოლიტიკურ გადმოსახლებულთა მონდობილებით **პლებეისაგან.**

✦ **ეგნ. ნინოშვილის დილა,** სახალხო სახლში დანიშნული, რომელიც გადადებული იყო, იმავე სრული პროგრამით კვირას 1-ლ ივნისისთვის გაიმართება. ვისაც 18 მაისის ბილეთები აქვთ ნასყიდი, ამ დილისთვის გამოდგება.

✦ **სასინოდო კანტორის** კრებები 7 ივნისიდან შესწყდება სექტემბრამდე. ზაფხულის განმავლობაში კრებები მოხდება მხოლოდ 1, 2 და 3 ივლისს და 2, 4 და 5 აგვისტოს. 14 ივნისიდან კანტორაში მუშაობა იქნება დილის 8 საათამდე. შაბათობით მუშაობა სრულიად არ იქნება.

✦ **წესდების შეცვლა.** ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოების შეცვლილი წესდება გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად.

✦ პოლიცმეისტერმა ნება დართო **ანასტასია ზაქარიას ასულს** გოგიშვილს, გაზეთის საშუალებით საზოგადოებას მიჰმართოს დახმარების აღმოსაჩენად. იგი სცხოვრობს ახალ ნაძალადევში, ლოტკის გორის ქუჩ., სახლი შამილ-ოღლისა, № 4. ყოველგვარი დახმარება ამ მისამართით უნდა გაეგზავნოს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2) მოხდება საქართველოს, **ხისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.**

საგანი კრებისა: 1) მღვდლის პ. კარბელაშვილისა რეფერატები— „იოანე ხელაშვილის მოღვაწეობა“ და „ქართული სტამბის ბედი მე-XIX საუკუნის დამდეგს“, 2) რეფერატი მღვდლის ვ. კარბელაშვილისა—„როდის არის დაწერილი შატბერდის კრებული“ და 3) ახალი წევრების არჩევანი.

კრებას გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** გამგეობამ დაამტკიცა სასკოლო სექციის დადგენილება ბორჩალოს მაზრის ს. აკუთაში ქართულ პირველ დაწყებით სკოლის დაარსების შესახებ.

სარევიზიო კომისიის წევრნი ა. ს. დოლაძე და დ. მ. დუმბაძე წ.-კითხვის საზოგადოების საქმეების რევიზიას შეუდგნენ.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

✦ დღეს, 29 მაისს, ხარფუხის საზოგადო კლუბი გადადის „საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა) ინჟინერ ბარტის ბაღში „აპოლლო“-ს გვერდზე. მამასახლისთა საბჭომ აგრეთვე იჯარით აიღო „გერმანელთა კლუბი“ შენობითურთ.

## გორი

✦ ივნისის პირველ დღეებში ს ფაშალიშვილის თაოსნობით გაიმართება სალიტერატურო საღამო, ავადმყოფ ჟურნალისტის სანდრო გძელიშვილის (სანგანიძის) სასარგებლოდ.

✦ სახ. უნივ. ადგილ. განყოფ. გამგეობამ თვის წლიურ კრებაზე დაადგინა აგოს საკუთარი შენობა იმ ადგილზე, რომელიც ქალაქის გამგეობამ უფასოდ დაუთმო საზაფხულო საკრებულოს გვერდით. ამოირჩიეს საალმაშენებლო კომისია, რომელიც ახლო მომავალში შეუდგება საქმეს. გამგეობას ხელთ აქვს საკუთარი თანხა 205 თუმანი.

✦ მარტისავით მაისიც უცნაური დაგვიდგა. პირველ ერთ-ორ დღეს მაისმა თავი გვაჩვენა, მაგრამ მერმე მოჰყვა ჟინჟლიანი, უმზეო ამინდი. თითქმის გამუდმებით ჟინჟლავს, ქარი ჰქრის, ხანდისხან ცივა კიდეც.

## ქუთაისი

✦ გუშინწინ საოლქო სასამართლოს პირველ გამომძიებელთან დაბარებული იყო: გაზეთ „ჩვენი ერის“ კანტორის გამგის თანაშემწე და გაზეთის დამტარებელი, აკრძალული გაზეთების პროვინციებში დაგზავნისთვის.

✦ 1 ივნისიდან 5 ივლისამდი იხსნება პედაგოგიური კურსები ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მოწვეული იქნება 50 მასწავლებელი იმერეთის ეპარქიიდან და 30 გურია-სამეგრელოსაგან.

✦ პრ. ოლდენბურგელის მემკვიდრეების ქარხანა, რომელიც ბალახვანის ქუჩაზეა, 12 წ. ვადით იჯარით აუღია ვ. მ. ნეკრასოვის და ამხანაგობის სავაჭრო სახლს, რომლის ფირმაც პეტერბურგში არსებობს. მოიჯარადრეები ივნისის პირველი რიცხვებიდან შეუდგებიან შამპანური ღვინის მომზადებას. განზრახვა აქვთ დაამზადონ 110,000 ბოთლი შამპა-

...ნური. აგრეთვე ფიქრობენ დაამზა-...დონ კონიაკი და სხვა სასმელები(ც). ...ქარხანაში ჯერ 8 კაცი მუშაობს.

# დღიური

## ზედაზენი.

სიმშვენიერე ყველგან არის, მაგრამ დანახვა უნდაო. ეს ბრძენს შეუძლიან მხოლოდ. ჩვენ კი უბრალო მომაკვდავებმა განსაკუთრებული ადგილი უნდა გამოვნახოთ, რომ გულს მოგვწვდეს მისი სილამაზე; იშვიათს მოვლენას არსებას უნდა შევხვდეთ, რომ მისმა სიმშვენიერემ მოგვიზიდოს; არა ჩვეულებრივი სიტყვა უნდა გავიგონოთ, რომ რამე ...ესმას. ზამთარ-ზაფხულ ქალაქში ...მომწყვდეულებს, კედლებს შუა ჩახუ-...ულებს სრულიად დაგვიკარგავს ...ნიჭი ბუნების სიკეკლუცის და სიდი-...დის ქვრეტისა და შეგნებისა. ყაზარ-...მულ სახლებს შევცქერით და მაღ-...ლა ცისკენაც კი არ გავიყურებით, რომ თვალი გავშალოთ უსაზღვრო ...ლაჟვარდზე და ფრთები შევასხათ ...ჩვენი სულის მისწრაფებას...

ცხრა ქალი და კაცი ვიყავით, ზე-...დაზნისკენ რომ გავემგზავრეთ ბუნე-...ბის სიმშვენიერის სახილველად. გა-...ონილი გვქონდა ქება იქაური სანა-...ხაობისა. დიდის იმედით და ხალისით ...მივეშურებოდით. რკინის გზიდან ...ქესი—შვიდი ვერსი იქნება მონას-...ტრამდე; გზა სულ აღმართია. ჩვენ ...დავიბენით და თითქმის ორჯელ მეტი ...დრო მოვანდომეთ, ვიდრე საჭირო ...იყო. დავიღალენით, ნამეტურ შეგვა-...წუხა იმან, რომ გზაში სასმელი წყა-...ლი არსად იშოვება. ზოგიერთი ისე ...დაიქანცა, რომ კინაღამ უკან დაბ-...რუნდა და ერთი კი ისე გამწარდა, ...რომ გაცხარებით სწყევლიდა მოგზა-...ურობის გამომგონს.

მაგრამ ყველა ეს დაღლილობა, ...მდურავი და წყევლა ერთბაშად ...აქრა, როგორც კი ავაღწიეთ მთა-...ზე და იქიდან გადმოვხედეთ გასა-...ოცარს სურათებს. ერთხმად წამოვი-...ძახეთ: რა მშვენიერებაა! ძირს დავე-...ცით, თითქოს თაყვანი უნდა ვცეთო ...დიდებულს მშობელს და გახელებუ-...ლივით მივაპყარით თვალები ჩვენს ...წინ დაფენილ მთებს, მინდვრებს, ...ვებს. ვსდუმდით და ხანდახან რო-...გორც ბავშვები თუ გამოვსთქვამ-...დით ჩვენს აღტაცებას ნაწყვეტ ხმე-...ბით. დაგვავიწყდა სიმშილიც და ...წყურვილიც. სახეებზე ყველას სია-...მოვნება და სიცხოველე გამოგვხა-...ტოდა; გულმა თავისუფლად, სრუ-...ლად იწყო ცემა, სულ სხვა ადამია-...ნად ვიგრძენით თავი ბუნების წი-...ნაშე, ვეთვისეთ ბუნებას და მისი ...ძალა და სიმტკიცე თითქოს ჩვენს ...ძარღვებს ჩაეწვეთაო... არ გვეგონა, ...რომ ასეთს სიმშვენიერეს ვიხილავ-...დით ასე ახლო. ისე უცხოა ჩვენი ...მშობლიო ჩვენთვის, ისე მოვწყდით ...ბუნებას, რომ ამისი წარმოდგენა ...არა გვაქვს.

...ბატონიშვილი ვახუშტი ასე აგვი-...წერს ზედაზენს: „მთის თხემსა ზედა ...გარეთელი არაგვისა, მუხრანისა, ...ლეკისა, მცხეთისა და ტფილისისა ...აშენა ციხე მეფემან ფარნაჯომ ...(ქრ. დაბ. წ. პირველ საუკ.) და აღ-...მართა მუნ კერპი ზადენი და ამითი ...ეწოდა მთასა ამას ზედა-ზადენი. შემ-...დგომად იგ მამათაგანმან მამამან იო-...ანე (მეექვსე საუკუნეში) ჰყო აქა ...მონასტერი და ეკლესია სადგურად ...თვისად და დაფლულ არს მუნვე. ამ ...ეკლესიის კამარიდან სწვეთს წყალი ...და უდგას ქვემორ ავაზანი ქვისა და ...გარიბვის მას შინა, არა გარდმოე-...დების და არცა აღმოვსებით მო-...კლდების, უკეთუ აღმოიღო რითმე, ...მკურნებს სენთაცა“. ეს იოანე ...იყო ზედაზნელი ერთი სირიელ ...მამათაგანი, რომელთაც ააშენეს მო-...ნასტრები შიო ღვიმეს, მარტყოფს, ...იკანს, სამთავისს და სხვაგან.

...ზედაზნის მონასტერი გადასწვა და ...დაანგრია შაჰ-აბაზმა, და დღეს ...ნანგრევებს წარმოადგენს. თუმ-...ცა საყდარი განახლებულია, მაგრამ ...განახლებულიც მეტის სიმწარით მო-...ბს გარდასულს ბრწყინვალებას ...და ღვთაებრივს სიბეჩავეს და სი-...ღარიბეს. ამ ჟამად მონასტერში ...ერთი ბერია და ერთი მორჩილი. უფ-...როსი ბერი მამა იონა ღრმად მო-...ხუცებულია უკვე, თუმცა ჯერ კი-...დევ ხედავს დიდის და დიდის სიყვა-...რულით უვლის და პატრონობს სა-...ყდარს. იგი ოცდა-ექვსი წელიწადია ...ზედაზენში, მისი მეოხებითაა მოწყო-...ბილი და გაკეთებული ეხლა ყვე-...ლაფერი, საკუთარის ხელით გაიყვა-...ნა ამ რამდენისამე წლის წინად ...წყალი მონასტრისკენ. გასაკვირველის ...მოწიწებით და სასოებით დაგვათვა-...ლიერებინა საყდარი და მონასტრის ...მიდამო. უსაზღვრო რწმენა გა-

მოსჭვივოდა ყოველი მისი სიტყვიდან. ეტყობოდა, რომ იგი დაახლოვებულია თავის ღმერთთან, გულ-ახდილად, უბრალოდ ესაუბრება მას ყოველ დღე და შეიძლება კიდეც ჰხედავს. „აი აქ ძველი მხატვრობაა, გვიხსნიდა მოხუცი ხალისით: აი აქ ჩუქურთმა ყოფილა, მაგრამ დღეს კვალი-და დარჩენილა. აქ წმინდა ჭაა, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ აივსება წყლით შვიდს მაისს, მონასტრის დღეობას; აი აქ ამავ დღეს წირვის დროს ზევიდან წვეთები ჩამოდის, ეს ცხადად ამჩნევია კედელს; აი აქ ასვენია წმინდა გვამი მამა იოანესი და მის გვერდით დიაკონის ილიასი“. როცა ვუთხარი მამა იონას: როგორ გატიალებულია ყველაფერი-მეთქი, ნაღვლიანად გაიქნია თეთრი თავი და მწარედ მიპასუხა: ასეთია ჩვენი ბედიო!..

დიდხანს ვიდექი საყდარში განმარტოებით. იმგვარის გარდასულობით და იდუმალობით იყო მოცული ყველაფერი, რომ უნებურად მოვწყდი წამიერად აწმყოს და გარდავედი იმ დროში, როცა სულ სხვა ცხოვრება იყო გამეფებული იქ: ამ ლამაზ ადგილზე, ამ პატარა მონასტერში ღრმად მორწმუნე ადამიანები თავისუფლად ჰქმნიდნენ თავისებურს კულტურას, სიყვარულით იყო აღჭურვილი ყოველი საგანი და საქმე... აწ აღარა რაა აქ, მოისპო და წაიშალა და მიტომ კი არა, რომ ჩვენ საკუთარის ნებით განვედით ამ ეკლესიიდან, ადვმაღლდით, არამედ ძალით გამოგვრეკეს საყვარელ ადგილიდან, სახლი გადაგვიბუგეს, რწმენა შეგვიგინეს. და აქ სატირელი ისაა ყველაზე უფრო, რომ ჩვენ თითქოს გვიხარიან ჩვენი ასეთი გამოძევება, რწმენის ძალით ჩაკვლა...

მწარე ფიქრებით დაღონებული საყდრიდან გამოველი და ეზოში გავიარ-გამოვიარე გულის გასართობად. თვალი გადავავლე მიდამოებს. ლამაზმა ბუნებამ სევდა გარდაგვხოცა, სიმწარის შემდეგ სიმშვენიერე უფრო ვიგრძენ. მაგრამ გულში ისევ ნაღველი გაილესა, მშვენიერის სანახაობით გატაცებულს ფიქრები შორს გამირბოდა და წამდაუწუმ მობრუნდებოდა ერთი და იგივე კითხვა: ბუნება რომ მშვენიერია, რადაა ცხოვრება ულამაზო; თუ ბუნება ასე ლაღია და გაშლილი, რადაა ცხოვრება შეხუთული?..

განმარტოებით, განშორებით გავედი.ავედი ერთი ციხის ნანგრევებზე დაუფრო ფართოდ და ნათლად წარმომიდგა წინ სურათები.

წინ მცხეთაა დაფენილი, მძლავრად აღმართულა სვეტი ცხოველი, ახლო მთაზე ჯვარის მონასტერია, პირდაპირ მაღლა მწვანე ტყეში თეთრად ბრწყინავს წმ. ნინოს საყდარი. ამწვანებული მინდვრები, მუქი ტყეები, იქა-აქ გატიტვლებული მთები, სხვა და სხვა ფერად შეღებული ღრუბლები, შორს მთებზე გადაფარებული ნისლის ზეწარი—ჯადოსნურის სიძლიერით იტაცებენ თვალს. ყველაფერი დადუმებულია, უძრავი და მხოლოდ ერთმანეთს შეხვედრილის მტკვრისა და არაგვის ყრუ დუდუნი ოდნავად არღვევს ტკბილს სიჩუმეს.

მარცხნით ტფილისი მოსჩანს, იქით მწვანე მინდვრები, რომლებსაც ალერსით ეთხოვება მზის უკანასკნელი შუქი; მოშორებით შავს ზოლებს ვხედავ, მერმე კიდევ თეთრი ზოლი, ქვლავ შავი ფერი, რომელიც უერთდება ციდან ჩამოწოლილს თალხს ღრუბლის კედლებს და შემდეგ აღარა სჩანს რა, ყველაფერი ბნელითაა მოცული. მთელი ეს მიდამო შუაში გაჭრილია მტკვრით, რომელიც ჯერ თეთრია და მერმე მოლურჯო ფერს გადაიკრავს. ვუცქერი სურათს და ვერ წარმომიდგენია თვალისთვის უფრო მომხიბლავი სანახაობა. მინდა რომ ყოველი ჩემი გრძნობა დადუმდეს და მარტო ერთი თვალითა ვგრძნობდე, მწყინს, რომ გარშემო შაშვის გალობა ისმის და მაღლა ჰაერში ძარხვი ჭასცურავს.

მარჯვენა მხარეს გადავავლე თვალი. დაკლანკლული, დაჭრილი, დაჩეხილი არაგვი თეთრად გამოხატულა მწვანე ტილოზე. ახლო მინდვრები აკრია ორივ მხრით, ყანები, სოფლები. ზევით გორები თითქოს მოზნექილან აქეთ იქით და გზა მიუციათ მდინარისთვის. შორს ლურჯი მთებია, რომლებს უკან დარაჯად ამოსდგომია კავკასიონის თოვლიანი ქედი. მართლაც რომ დარაჯია მაღალი, მიუწდომელი, შეუპოვარი, უტეხი დარაჯი!.. მაგრამ ცივმა ნიავმა დაჰბერა ჩრდილოეთით და მე ვიგრძენ ყინვა.

სურათებმა დამიმონა. ყველაფერს ვივიწყებ, არას ვიგონებ რა. სული თითქოს გაფრინდა, გადაეფინა მთებსა და ველებს. შორს გადასტყორცნა ყოველი შიში და უიმედობა და თითქოს ახლად შობილმა ოწმენითა და სიმტკიცით გავიხედე მომავალისკენ.

ხიტყვა.

# მოგზაურობა ბორჩალოს მაზრაში

3.

ჩავედით ერთ დუქანში, რომელიც განმარტოებით სდგას შოსეს გზის პირას, სოფელ ბალიჩის პირდაპირ; ეს სოფელი მდ. ქაპალას მარცხენა მხარეს სამი ვერსის სიშორეზე მდებარეობს.

აქედან გამოვეთხოვეთ თ-დ ვ. ც—ს და ჩვენ გაუდექით ყალამშიისაკენ.

სოფ. ბალიჩში ცხოვრობენ ქართველები და სომხები, სოფელს კარგი მდებარეობა აქვს, შენობები ქვიტკირისაა და გადახურულია კრამიტით.

ბალიჩის სამრევლოს შეადგენს სოფლები: ვარდის-უბანი, ტაბახმელა, კიონეთი, დიდი და პატარა დმანისი.

ვიდრე დიდ დმანისს მიუახლოვდებოდით მდ. ქაპალას ხეობა თანდათან ვიწროვდება, მის ნაპირებს ვიწროდ მისდევენ ქალები და ვენახები, რომელნიც ირწყვიან მდ. ქაპალიდან.

აი, მიუახლოვდით დიდ დმანისს. იგი მდებარეობს მიღმა გაშლილ მინდორზე და გადმოჰყურებს ქაპალას ხეობას. აქედან იწყება წალკა-ბაშვიჩეთის გზა, აქედანვე ჯალალ-ოღლის შოსეს ავცდებით და მარჯვნივ წალკა-ბაშვიჩეთის გზაზე გადაუხვევთ.

ამ გზაზედვე მიუდით თრიალეთის საძოვრებისკენ ცხვარი თათრებსა.

სოფ. დმანისში 63 კომლი მცხოვრებია, 11 კომლი დროებით ვალდებული ქართველი გლეხები არიან, დანარჩენი კი სომხები.—აქ არსებობს სამინისტრო სკოლა და სასოფლო სამმართველო კანცელარია.

აქედან ბუნება იცვლება, იწყება თვალ-უწვდენი მინდვრები და ველები, სახნავი და სათიბები, სადაც არც ერთი ძირი ხე, არც ერთი ბუჩქი არ მოიპოვება.

მდ. ქაპალა თვალთაგან გეკარგებათ, ვიწრო კლდეებში მიიკლაკნება და მისი ნაპირები ორთავე მხარეს თანაბარია და შორიდან გგონიათ, თითქოს გაერთიანებული მინდორიაო. აქედანვე მდ. ქაპალს სახელი ეცვლება და მაშავერას უძახიან.

ჩავედით სოფ. ყალამშიაში, კალონკიდან ყალამშამდის 32 ვერსია. ბარომეტრი სიმაღლეს გვიჩვენებდა 2018 მეტრსა.

ჩამოუხტით აქაურ ღვდელს გიორგი ომაროვს, დიდად გაუხარდა ჩვენი მისვლა, წინათ სოფ. ატოცში და თილვაში დიაკვნად იყო,—მაშინვე სახლში შეგვიწვია.

მანამ ვისაუზმებდით, დმანისის ნაშთების შესახებ გიორგი ომაროვმა გვიამბო და დაგვაინტერესა. საჩქაროდ ვისაუზმეთ. დმანისის ნაშთების დასათვალიერებლად წავედით, ვეჩქარებოდით, რადგან მეორე დღეს უსათუოდ გომარეთისაკენ უნდა გავმგზავრებულიყავით.

რომელ გზიდანაც მოვედით, ისევ იმ გზით დავბრუნდით; ყალამშიიდან ძველ ნანგრევ დმანისამდის იქნება შვიდი ვერსი. წალკა-ბაშვიჩეთის გზას გადაუხვიეთ და ჩავედით მდ. მაშავერზე იმ ადგილას, სადაც აზვირთებული ჩანჩქერივით მიექანება და ეხეთქება აქაფებული დიდ ლოდებს. მგზავრს უნდა რომ იდგეს და უცქიროს მის გაშმაგებულს ბრძოლას. მაშავერის ხმუილი ჩვეულებრივ ყურთა სმენას უხშობს, რადაცა შორის ძახილი გამოისმის და მუსიკასავით ესალმუნება სმენას.

მდ. მაშავერი ვიწრო ჩავარდნილ მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში მიექანება და ჩაჭრილი სალ-კლდეების ნაპირები მისდევენ.

მდ. მაშავერი ქსანზე უფრო დიდია.

ცოტა კიდევ პატარა გავიარეთ. და ერთ დანგრეულ ბოგირზე ქვეითი გავედით. აქედან დაუბრუნეთ თ-დ კ. ც—ს თავისი ცხენები დიდის მადლობით.

მაღალი სერი შევიარეთ და მივადექით სამხრეთის მხრივ ციხის გალავანს, შევედით ამ გალავანით და ვიხილეთ ძველი ნაქალაქევი დმანისი.

დიდებული სანახავია მისი მდებარეობა! სამივე მხარეს ბუნებრივი სიმაგრე არტყია, ირგვლივ ორივე მხარეს უფსკრულში ხმაურობით მიექანება ჩაჭრილ სალ-კლდეებში მდ. მაშავერი, მესამე მხარეს აღმოსავლეთის მხრივ მდ. მაშავერს ერთვის ჩაჭრილ კლდეებში პატარა წყალი კარა-სუ, რომელზედაც მიიკლაკნება ჯალალ-ოღლის შოსე.

კარგა მოზრდილ ვაკე ადგილს წარმოადგენს ძველი დმანისის ადგილმდებარეობა, მწვანე ბალახი ბიბინებს მის ნანგრევთა შორის და მის ქვეშ ბევრი რამ არის დაფარული ჩვენი წარსულის ცხოვრებიდან; გარს შემორტყმულ უფსკრულში კი გლოვის ზარივით უმღერს მდ. მაშავერი ძველ დმანისის ნანგრევებს.

ძველი დმანისის ადგილ-მდებარეობა თ-დ ორბელიანთ მამულის გაყოფის შემდეგ ერგო ვახტანგ ორბელიანს და, აი, ეს მგოსანი რას ამბობს ამ ძველი დმანისის შესახებ:

„მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელს
ქედზე მორტყმული გარე,
მაგრამ ეგ კოშკნი, ეგ ტაძარი და
მამათ არე,
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს
დარღვეულნი,
ჩემს მამა-პაპათ ისტორიის წმინდა
რვეულნი,
მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სად
გურო,
დიდხანს ვერ განახე და აწ მინდა
დიდხანს გიყურო!
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა
პატრონი თქვენი,
დიდის შენობის, როგორც თქვენი,
საბრალო შთენი.“

იმდენად სწუხს ჩვენი მგოსანი ძველი დმანისის ხილვით, რომ წარსულის დიდების მოგონება მას სატანჯველად გადაქცევია და ბოლოს ასე ათავებს:

„განჰქრი დმანისო, და დაინთქე
უფსკრულსა შინა.
ჩემს სატანჯველად რომ არ იდგე
ჩემს თვალთა წინა!“

მგოსანის მემკვიდრეს კი თ-დ ნიკოლოოზ ორბელიანს პირდაპირ გაუგია ეს მამის სიტყვები და ძველი დმანისი თავისი ტაძრებით, ციხე-სასახლეებით, მამა-პაპათა აკლდამებით, სადაც დღესაც სასაფლაოს ქვებზე ამოვიკითხეთ დიდი ორბელიანების სახელები, მიუყიდნია ვიღაც თათრისათვის!

და რაღაც გაწგებით სოფ. პატარა დმანისის ქართველ გლეხებს უკანვე შეუსყიდნიათ ამ თათრისაგან თ-დ ორბელიანების ძველ დმანისი და მათ ნაყმევებს—პატარა დმანისელ გლეხებს—მათი შეცოდებანი ნახევრათ შეუმსუბუქებიათ.

დღეს კი მგოსანი ვახტანგის მემკვიდრე გარდახვეწილა პეტერბურგში და დამპალ ჰაერსა ჰსუნთქავს!

სოფ. პატარა-დმანისის გლეხებს თ-დ მამუკა ორბელიანისაგან შეუძენიათ 400 დესეტინა მამული.

სიტყვა გაგვიგრძელდა მეტად, საგანს გადაუხვიეთ. რასაკვირველია, ძველ დმანისის ნანგრევებზე წარწერები ბლომათაა ასო-მთავრული ასოებით, ტაძრებზე, ციხეზე ყველგან აშკარად ეტყობა.

შესანიშნავია აბანოები, სადაც ეხლაც ეტყობა გადაყვანილი თაღებით ოთახები თავისი აუზებით და მილებით.

აგრეთვე შესანიშნავია ხელოვნურად გაკეთებული გვირაბი, რომელიც ჩაუდის კლდის ძირში მდ. მაშავერამდის—გარეშე მტრის შეუმჩნევლად. ჩავიარეთ ამ გვირაბში, უფსკრულისკენ ძიდის, მე შუა გზიდან დავბრუნდი, ჩემი თანამგზავრნი კი ბოლომდის ჩავიდნენ, როგორც ეტყობა ამ გვირაბით ზეით ძველ დმანასში წყალი აჰქონდათ.

არა გვქონდა შესაფერი მასალები, რომ წარწერები გადაგვეღო, მგონი, რომ ბ-ნ ისტორიკოსს თაყაიშვილს უნდა ჰქონდეს ამ დმანისის შესახებ აღსწერა.

გვიღამდებოდა და გავეჩქარეთ ყალამშიისაკენ.

**Legatus.**

(შემდეგი იქნება)

# სხვა და სხვა ამბები

„ბაკინეცს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ მაისის გასულს ლივადიაში თავს მოიყრიან ყველა მინისტრები, მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებზე სათათბიროდ. ამ კრებაზე დასასწრებლად მიწვეულია აგრეთვე კავკასიის მეფის მოადგილე.

იალტის ქალაქის გამგეობის მთელი შემადგენლობა სამოსამართლო პალატამ პასუხისგებაში მისცა დაუდევრობის გამო, რომლის შედეგიც ის იყო რომ ვინმე ნაცვალოვმა (ბუჰ-ღალტერმა) დიდ ძალი ფული გაფლანგა და მიიმალა. ეს ნაცვალოვი გამოქცეული დამნაშავე ყოფილა.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**28 მაისი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** 27 მაისს განახლდა პარლამენტის სხდომები, რომელზედაც ულსტერის საკითხის გამორკვევაც განახლდა.

ბირმანგემის სამხატვრო მუზეუმში სუფრაჟისტმა ქალმა მხატვრის რომნეის სურათი გააფუჭა.

პოლიციელების ძლიერი რაზმი შევიდა სუფრაჟისტ ქალების ბინაზე, მრავალ საბუთს კონფისკაცია უყო, გაჩხრიკა იქ მყოფი ქალები, რომელთაც წასვლის ნება დართეს, დონა პოლიციელებმა დაიკავეს.

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით მექსიკიდან უკვალოდ დაიკარგნენ იაპონიის ელჩი და იაპონიის „მისიის ატაშე“, რომელნიც ბრუნდებოდნენ კრეისერ „იძუმაზე“ მოგზაურობიდან. შიშობენ, რომ ისინი დაატყვევეს სავლეში რევოლიუციონერებმა.

**პარიზი.** რიშომ წინადადება მიიღო, რომ კაბინეთი შეადგინოს. დაითანხმა კაბინეთში შესვლაზე ბურჟუა, ნულანა, დელკასე, კლემანტელი და ჟან დიუპუი.

რიშო დეკლარაციაში აღნიშნავს, რომ სამი წლის ვადიანი სამხედრო სამსახური ეხლა არ იქნება წამოყენებული და არც შეიცვლება, რადგან შეუცვლელია ის გარემოებანი, რომელმაც კანონი გამოიწვია. რიბო განაცხადებს, რომ წარადგენს კანონ-პროექტს სესხის შესახებ. კაბინეტში შესული დეპუტატები ყველანი მემარცხენე რადიკალურ ჯგუფს ეკუთვნიან. გაერთიანებულმა რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა რიბოს კაბინეთისადმი პირდაპირ მტრული დადგენილება გამოიტანეს.

**პარიზი.** ალბად პირველ მაგისტრად და იუსტიციის მინისტრად რიბო იქნება, გარეშე საქმეთა—ბურჟუა, შინაგანი—პეიტრალი, სამხედრო—ნულანი, საზღვაო—დელკასე, ფინანსთა—კლემენტალი, კოლონიებისა—ბოტნი, მიწადმოქმედებისა—დორიავი, საზოგადოებრივი მუშაობისა—ჟან-დიუპუი, ვაჭრობისა—რევილი, სახალხო განათლებისა—დესუა და შრომისა—მონური.

**პარიზი.** ნულანმა საბოლოოდ უარი სთქვა სამხედრო მინისტრობაზე. რიბოს კაბინეთის საბოლოოდ შედგენისას, შემდეგი ცვლილება მოხდა: სამხედრო მინისტრის თანამდებობა დელკასემ მიიღო, საზღვაო—ბოტნმა, კოლონიების მინისტრის თანამდებობა—ჯერ არვის დაუჭერია.

**ბერლინი.** გამოაქვეყნეს ახალი კანონი ჯაშუშობის შესახებ.

**რომი.** დეპუტატების პალატა. სალანდრამ უპასუხა ანკონაში მომხდარ ამბების გამო: როდესაც გაიგო, რომ სხვადასხვა ქალაქში 25 მაისს ეროვნული დღესასწაულის დროს უნდა მანიფესტაციები მოეწყოთ, და რომ ამის მეთაურია ანკონის შრომის პალატა,—პრეფექტებს განკარგულება დაუგზავნა ხელი შეეშალათ მანიფესტაციებისათვის და თანაც განცხადა, რომ პასუხის გებას იგი კისრულობს. (ხანგრძლივი ტაში, მარცხნივ ხმაურობა). ამისდამიხედვით მანიფესტაციები აღკრძალული იყო მთელი იმპერიაში; გარდა ანკონისა წესიერება არსად არ დარღვეულა. მინისტრმა აღნიშნა უკვე ცნობილი ამბები ანკონაში მომხდარი. ხაზი გაუსვა იმას, რომ მსროლელი კარაბინერები და პოლიციელები უკვე შეპყრობილია და პასუხს აგებენ. მინისტრმა დაუმატა: გამოძიებამ დაამტკიცა, რომ კარაბინერებს საშინლად დაუშინეს ქვები. ისინი იძულებულნი იყვნენ სროლა დაეწყოთ, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა რამდენიმე მათგანი დაიჭრა. შემდეგ ილაპარაკეს დეპუტატებმა სოციალისტებმა, რადიკალებმა, და რესპუბლიკელებმა, რომელთაც დაჰგმეს სალანდრას განკარგულებანი 25 მაისს მანიფესტაციის აღკრძალვის შესახებ. ისინი მწუხარებას გამოსთქვამენ უწესობის მსხვერპლის გამო.

**რომი.** საერთო გაფიცვა გამოცხადებულია აგრეთვე მილანიაში ფლორენციაში, ვენეციაში, გენუაში, მილანში, ტურინში, ბერგამოში, ჯერენში, ბრეხჩიოში, ჩივტა-ვექიოში, ბარიში, ლოვირნა და რუზაში

**რომი.** გაფიცვა გრძელდება. ქუცებში მოძრაობა, სწარმოებს მხოლოდ ავტომობილებით და კერძო ეტლებით. აკრძალეს მიტინგის გამართვა, რომელიც განზრახული იყო „პოპოლოს“ მოედანზე, იქით მიმავალი მანიფესტანტები გაჰფანტეს. სერიოზული ინციდენტები არ მომხდარა. ნაშუადღევს მიღებული ცნობების მიხედვით გაფიცვა გა... გამოაცხადეს აგრეთვე ფაენცსა ... კომა-სან-პიერდარენაში. გენუასა ტურინში გაფიცულებმა აკეტინეს მაღაზიები. ნეა... გაფიცვა გამოცხადებუ...

მხოლოდ მუშათა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს თათბირი მოიწვიონ.

**ფლორენცია.** ანკონაში მომხდარ ამბების საპროტესტო მიტინგზე, რომელიც ინდივენდენციის მოედანზე გაიმართა, ბრბო გუელფის ქუჩის გასწვრივ გაიქცა. პოლიციელებთან შეტაკება მოუხდა. მანიფესტანტებმა პოლიციელებს ქვები დაუშინეს, პოლიციელებმა რევოლვერის სროლით უპასუხეს. მძიმედ დაჭრილია პოლიციის აფიცერი და იოლად რამდენიმე პოლიციელი. მანიფესტანტების მხრივ მოკლულია ახალგაზრდა, დაჭრილია ორი. ჯარებმა მანიფესტანტები გაჰფანტეს.

**ანკონა.** არეულობა გრძელდება. აქა-იქ პოლიციელებზე თავდასხმა ხდება. შეეცადნენ ორი თოფის საწყობ მაღაზიის გაძარცვას.

**ანკონა.** სადგურ ფაძრიანოსთან რამდენიმე უცნობმა ლანდაგი გააფუჭეს, მატარებელი შეაჩერეს.

**ანკონა.** დღის მატარებელთაგან მხოლოდ ექსპრესი წავიდა; რომი-ანკონის გზაზე მოძრაობა ესწყდა.

**ბერგამო.** მანიფესანტებმა იმდენი ჰქნეს, რომ ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება დაიხურა. მანიფესტანტები რკინის გზის სასადგუროსაკენ გაემართნენ, ლიანდაგზე დადგნენ და მატარებლების მოძრაობა შეაჩერეს. მანიფესტანტებმა მატარებლების ფანჯრები ჩალეწეს.

**პრაგა.** მანიფესტანტებმა რკინისგზის სადგურზე იერიში მიიტანეს, პოლიციელებმა განფანტეს. მატარებლების მოძრაობა შესწყდა.

**კოპენჰაგენი.** ლანდტაგში კამათი იყო კონსტიტუციის შესაცვლელ კანონპროექტის შესახებ. კამათის დროს კონსერვატიულ პარტიის წევრები დარბაზში არ დარჩნენ პირველმა მინისტრმა განაცხადა, რომ კენქის ყრის შემდეგ ისეთ შემადგენლობაში რომლის ნახევარი მონაწილეობას არ იღებს, მთავრობა იძულებული ხდება მეფის წინაშე შუამდგომლოს, რომ პალატა დათხოვნილ იქნას. კენქის ყრის დროს 33 მემარცხენე რადიკალი და სოციალისტი რეფორმის მომხრე იყო და, რადგანაც კენქის ყრაში 32 დეპუტატმა მონაწილეობა არ მიიღო პრეზიდენტმაგა ნაცხადა რომ ხმების რაოდენობა საკმაო არ არის საკითხის საბოლოვოდ გადასაწყვეტად და პალატის შემდეგი კრება დანიშნულ იქნება ცალკეო.

**კოპენჰაგენი.** ფოლკეტინგში 102 მემარცხენე რადიკალებმა და სოციალისტებმა 61 წინააღმდეგ მიიღეს კანონ-პროექტი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ.

**სტამბოლი.** ბერძენთა ელჩმა პანასმა დიდი ვეზირი ინახულა და სთხოვა, რომ პროვინციის ზოგიერთი მოხელე დაეთხოვა, რათა მათ უარი სთქვეს მთავრობის განკარგულების შესრულებაზე და ხელი შეუწყვეს ქრისტიანთა დევნას. ვეზირმა ზომების მიღება აღუთქვა.

**ათინა.** ვლოსტოდან იტყობინებიან, რომ იქ სდევნიან ბერძნებს. მაჰმადიანთა მთავრობა ბერძნების მცხოვრებლებს მკაცრად ეპყრობა, აიძულებენ რომ თავი მიანებოს სახლებს და იქ გადაეულ მაჰმადიანებს აბინავებენ. ბერძნები სტოვებენ თავიანთ მიწა-წყალს და საბერძნეთისაკენ გარბიან. ბულგარებმა სტერიმახოსაში სამი ბერძნული ეკლესია დაიპყრეს და ერთი შუმლაში. ბერძენთა ელჩმა პროტესტი განაცხადა ბულგარეთის მთავრობის წინაშე და მოითხოვა ეკლესიების დაბრუნება.

**ბუქარესტი.** დამფუძნებელ კრებაში არჩეულ იქმნენ: 145 ლიბერალი, 22 კონსერვატორი, 17 დემოკრატი, 2 ნაციონალისტი და 5 დამოუკიდებელი.

**სოფია.** დღისით ბულგარელ... სოფიაში ბერძენთა ეკლესია ...კუთრებს.

**დუბლინი.** ტრინიტი-... სტუდენტებმა ააწიოკე... ქალების კავშირის ბ...

**ლგ...ვი.** „ლვ... რედაქტორი ... ცევები ... ბო...

ქართვი ბაქოს ვიცე-გუბერნატორად დაინიშნა.

**ჩერნიგოვი.** ძმ: გეროესკების გაქცევის გამო, ალექსი გეროვსკის დედისა და ცოლის გარდა შეიპყრეს ჟრუსკაია პრავდას რედაქტორი ჩურკანოვიჩი და კიდევ შვიდი კაცი. გეროვსკისთან ერთად ციხის ზედამხედველი გაიქცა.

**ხარკოვი.** ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ორ შენობაში ცეცხლი გაჩნდა.

**ვარშავა.** მოკ-ტოვის მინდვრიდან აგრიკოლას ბაღამდე პეგუ გადაფრინდა. ძირს დაშვების დროს მანქანა დაიმსხვრა, პეგუ უვნებლად გადარჩა.

**უფა.** სოფ. ბულგაკოვში სასოფლო სამმართველო გადაიწვა. სოფ. ტოროპნინში გადაიწვა წისქვილი თავის მანქანებით სხვა და სხვა შენობები, 4,000 ფუთი ქერი და 27,000 შვრია.

**გრუშევსკი.** ღამით უცნობებმა ხაზინის საწყობი გასტეხეს და 79,700 მან. გაიტაცეს. შეიპყრეს ხაზინის მოსამსახურენი.

## თეატრი და ხელოვნება

**ვ. ლორთქიფანიძის კონცერტი.** 27 მაისს, სამუსიკო სკოლის დარბაზში—ახალგაზრდა მომღერალმა (ბანი) ვარდენ ლორთქიფანიძემ გამართა ფრიად საინტერესო კონცერტი. ლორთქიფანიძეს უკვე იცნობს ქართველი საზოგადოება, იციან, რომ მას შესამჩნევი ხმა აქვს და მოხდენილადაც ასრულებს ზოგიერთ არიებსა და რომანსებს.

გუშინ მან დაგვიმტკიცა უტყუარი სიძლიერე თვისი ხმისა და შესამჩნევად შეასრულა არია მეფისტოფელისა (ფაუსტი) და სხვა მრავალი არიები და ქართული რომანსები, რითიც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. კონცერტში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ახალგაზრდა მომღერალი (ბარიტონი) ცამაკურიძე, რომელმაც მოხდენილად შეასრულა არია ვალენტინისა (ფაუსტი) და რამდენიმე ქართული რომანსები და სხვ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ კონცერტს ნაკლებად დაესწრო საზოგადოება.

როგორც შევიტყეთ, ვ. ლორთქიფანიძე ნივთიერად შევიწროებულია, არა აქვს საშუალება, რომ შესძლოს სწავლის გაგრძელება. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ქველმოქმედნი მიაქცევდნენ ყურადღებას ახალგაზრდა მომღერალს და მისცენ საშუალება სწავლის გაგრძელებისა.

## შემოწირულება

1 ივნისის სეირნობისთვის ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს ნივთები შემდეგმა პირებმა:

მიხეილ იოს. იმედაძემ 1 პატარა ვერცხლის ხანჯალი, თომა ჯანყარაშვილმა და მიხეილ მილორავამ 1 ყმაწვილის ბოხოხი, დავით პაპიშვილმა 1 წყვილი საყურე და 2 ვერცხლის ჯვარი, ძმებ. ქვლივიძეებმა 1 წყვილი საყურე და ერთი ვერცხლის ჯვარი, გიორგი კოკაშვილმა 2 ვერცხლის ბეჭედი თვლებით და 1 ჯვარი, ილია დოსმიშვილმა 1 წყვილი მაჯის ღილები (ზაფინკები), ამრ. ჯიქიამ 1 ვერცხლის სათითე, 1 ვერცხლის პატარა ხანჯალი, კონსტანტინე ფიცხელაურმა 1 წყვილი მესტი, ვილარეტის აფთიაქმა 15 ცალი სხვა და სხვა მედიკამენტები, გეინის აფთიაქმა 2 მანეთი ფულად.

რედაქტორი ნ. ქურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.


# ჯანსაღი და ლამაზი



კაცი ჩვენს დროში ამ სიცოცხლის უსაჭიროესს ღირსებისათვის უპირველესად უნდა ზრუნავდეს სხეულის წესიერ მოვლას, სიფაქიზეს საქმეში უპირველესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ხოლერა, სახადი, ყვავილი, ათაშანგი და სხვა ეპიდემიად იქცევა, უადრესი სიფაქიზე საუკეთესო წინასწარი საშუალებაა რომ სნეულობა არ გადაგვდოთ, თუ კი დაბანისა, ბანაობასა და განსაკუთრებით კი

**ყოველ პურის ჭამის წინ ხადეზინფექციოდ იხმარებთ**

# კარბოლის საპონი № 4711,

**კარბოლისსაპონის № 4711** (მისი ხმარების დარიგება რუსულად და გერმანულად). ერთი ნაჭერი ორი შაური,—ნამდვილი, კანონის მიერ უზრუნველყოფილი № 4711 მზადდება № 4711 **კრზოლის ხაპონი** მეცნიერების მიხედვით საგან-

გაზოდ შერჩეულ ინგრედიენტებისაგან და მუდამ სპეციალისტ-ფარმაცევტების მეთვალყურეობით.

**აგრეთვე გირჩევთ**

**№ 4711 კუპრის საპონს,**

**№ 4711 სულმას საპონს.**

გასასყიდად იშოვება ყველა აფთიაქებსა დ საფთიაქო დ საპარფიუმერო მაღაზიებში.

ერთად-ერთი მექარხნე **ფ. მიულგენს** **ქოლ. ნ./რ. რიგა.**

№ 4711.

# კარბოლის საპონი.

Метцль. 164507. 1185

თევზის მრეწველნი

# ძმ. ქებველოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

# განყოფილება

**ავლაბარში**

**ფოსტის განყოფილების ძვეშ, საკუთარ სახლში.**

# იყიდება

**იმავე ხარისხის**

# საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.**

1081

**იურიევის კერძო საუნივერსიტეტო კურსები.**

კურსები—უმაღლესი სასწავლებელი ორის ფაკულტეტით—სამკურნალო და საბუნების-მეტყველო.—თხოვნების მიღება უკვე დაიწყო შემოდგომის სესიისათვის. სამკურნალო ფაკულტ. 1—5 კურსებზე 100 მ., 1—3 კურს.—75 მ., 4—5 კურს. სემ. 100 მან.

კურსების საქმე შუამდგომლობს, რათა 1914 წ. საბუნების-მეტყველო-საისტორიო ფაკ. გადაკეთდეს საბუნებ.-სა-პედაგოგიო განყოფილებად, რომელსაც მიზნად ექნება მოამზადოს გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ქალ-ვაჟი საშუალო სასწავლებლებისათვის. (დაწვრილებითი ცნობები კურსების კანცელარიიდან იგზავნება). თხოვნების მიღება დაიწყო 1 კურსებზე—ფასი სემესტრისა 60 მან.

ორივე სქესის მსურველთ იღებენ. დაწვრილებითი ცნობები მიღებისა და კურსების უფლებებისა მსურველთ ეგზავნებათ კურსების კანცელარიიდან. თხოვნები უნდა მიეცეს კურსების **დირექტორის სახელობაზე:** Юрьевъ, Лифл. губ. Промышленн. ул.,

Метцль. 73825. 1231

# ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

ვეფხის ტყაოსანი. ყდიანი ტფ 1903 წ. . . . 1 მ.—
იგივე ქართვ. გამოც. 1888 წ. ყდით . . . . 11—65 კ.
იგივე. საუკეთესოდ დაკაზმ. 17—
გრდემლი. სალიტ. კრებული I. 1912 . . . 1—50
იგივე 1912 წ. . . . . 1—50
ვეფხის ტყაოსანი ინგლისურ ენაზე . . . . 6—
იგივე, გერმანულად ნათ. ლეისტის მიერ . . . 1—50
ქართვ. პოეტების ლექსები. ნათ. მისივე . . . . 1—25
ქართვ. ხალხი. გერმან. მისივე 1—50

**ახლად მიღებული წიგნები:**
მარრი ნ. Замѣтки по текстамъ Св. писанія въ древнихъ переводахъ Грузинъ и Арм. . . 25—
— Яфетическіе эл. въ Яз. Арменіи 80—
— ალაჰის ჯვარის მონასტრისა და იერუსალიმსა შინა. პეტ. 1914 წ. 1—85
კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი 1914 წ. —20
ფრონელი ა. მთის არწივი შამილი —25
ა. ჯორჯაძე. თხზულებანი V . 1—
ელგუჯა . . . . . —40
სამზარეულო შედ. ბ. ჯორჯაძისა . 1—
გიუ დე-მოპასანი. ტფ. 1914 წ. . 1—
მიწერ-მოწერის წიგნი 1914 წ. . —30
პატარა მურია. სიმღ. ნოტებზე ა. ყარაშ. —20
გრიშაშვილი. სრული ლექსთა კრებ. 1—
ანტონ ნიკ. ფურცელაძე . . —10

**ადრესი:** Тифлисъ. Книжн. маг. О-ва распр. грамотн. 1072

# ქაკმენის სითხე ს. ს.

**ქაკმენის ფხვნილი (პარაშოკი)** ს. ს. დ **ტრინდემის ფხვნილი (პარაშოკი)** პირველი, ნამდვილი საშუალებაა ვენახებისა, ბოსტნეულობისა (მწვანილეულობის) და ხეხილების **ხოკო-გვიდმუღფოზასა** და **მწერებისაგან დაცვად.** უბადლოდ შემოტანისა და განსაკუთრებული პირობების გამო მეფაბრიკესთან და გემთა საზოგადოებასთან ამ მდგომარე წელს გზავნიან **ქაკმენის სითხეს** ს. ს. კასრებში 6 მანეთად ფუთს ჭურჭლიანად, გადმოსხმით 16 კაპ. გირვანქა უჭურჭლოთ, **ქაკმენის ფხვნილი** (პარაშოკი) ს. ს. და **ტრინდემი** ბროშურებისა და პრეის-კურანტების თანახმად, რომლებიც შეიძლება გამოიწეროთ უფასოდ კანტორა **„კლო-ქდურულიდან"** ქუთაისში.

ნარდათ და წვრილად გაიყიდება **კანტორა „კლო-ქდურულში",** **გოკიელოვის შვილებისა და ნიკიფორე მიხ. ჯანელიძის სავაჭრო სახლებში** ქუთაისში. ყველა დაინტერესებულ პირს გასული წლის მიღებული შედეგებით შეუძლიან მიიღოს ყოველგვარი ცნობები სიტყვიერი ან წერილობითი კანტორა **„კლო-ქდურულში",** სადაც ყოველ პარასკევობით 9 საათიდან 2 საათამდე **ბ. ტიბო** ან მისი უფროსი მეგილე მიაწვდიან მსურველებს ყოველგვარ ცნობა-დარიგებებს ვენახების წამლობის შესახებ და აგრეთვე შესაფერი ამერიკული საძირე ვაზების ამორჩევის შესახებ ყოველგვარ მიწებისათვის. ◆ **მისამართი** (ადრესი): კანტორა „კლო-ქდურული", ქუთაისში, მიხეილის ქუჩაზე, ძმ. გოკიელის შენობაში. 1223

**ოქროს მედალი** **ოქროს მედალი**





GRAHD-PRIX

# მკალიერი

მოსკოვის საქარხნო საწყობისა

**ვლადიმერ ალპატოვისა**

ო. მ. უნანიანცის გამგეობით, გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა, ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1221

# ს. ა. გრიაზნოვი

# ამზადებს

გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის საწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. იყვანს სრულ პანსიონზედაც **ვერა, იზმაილოვის შესახ.** (ბელინსკ. ქუჩიდან) № 6 მესამე სართული 365

# ვასწავლი

**ქართულ**

**„სიმღერა - გალობას"**

მიღება და ჩაწერა

**მიხეილ კავსაძესთან**

სამშ., პარასკ. 5—8, კვირაობით მუშებისათვის 3—6 ს. ვისაც გუნდის მიწვევა ჰსურს, ვთხოვთ პირადათ მომმართონ. ა დ რ ე ს ი: ჩერქეზიშვილის, ანუ ავჭალის ქ. № 29, სამოქალაქო სკოლის შენობაში. 1228





1208

# სოფ. ქვიშხეთში

ქირავდება საზაფხულოდ საავარაკო სახლი 6 ოთახიანი სამზარეულოთი. მსურველთ პირობის შეტყობა შეუძლიანთ ყოველ დღე საღამოს $3^1/_2$—7 ს., ხოლო კვირა-უქმე დღეებში დილის 9—12 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქ. სახლი № 109, ბინა 6. 401

# ექიმ ნავასარდიანის

# პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**ღ ი ლ ი თ:**

# „606" და „914"

**11—12 ს. შ ე ი ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ, გ. ბებერაშვილი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ა. ზახარიაშვილი:** 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ბ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ბეყტაბაბიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. ჭ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავითოვისა:** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბეყტაბაბიანცი:** 5—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი. 1071

# ტფილისის საპოლიტეხნიკუმო კურსები

# ინჟინერის მ. ნ. ვინოგრადოვისა

—◆◆ განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი ◆◆—

განყოფილებანი: სამიწისმზომელო, საამშენებლო და სასოფლო-მეურნეობისა.

პირველ სემესტრზე გამოუცდელად მიიღებიან სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი 1872 წ. დებულების მიხედვით, ანუ ამ სასწავლებლის სადარი კურსიანი სკოლისა. სამიწისმზომელო კურს დასრულებულთ გამიჯვ. სამმართველო, საჭიროებისამებრ, ჰნიშნავს მიწის მომწყობ კომისიის მიწისმზომლის თანაშემწის კანდიდატად (გამმიჯ. სამ. ოთ. ცნობა 1914 წ. 22 თებერვ. № 1072). სამიწისმზომლო განყოფილების კურსი ორწლიანია, საამშენებლო და სოფლის მეურნეობისა ორწლინახევრიანი.

...ები იგზავნება 30 კ. მარკის გამოგზავნისათანავე, ტფილისი, პუშკინის ქ. სახ. № 8. ტელეფ. 10—30. 1197

**წ ა ღ ვ ე რ ი**

...ურიანის რკინის გზა. ბორჯომიდან 12 ვერსზე)

ივნისიდან გაიხსნება პანსიონი **„ანკარა"**

# ...ვაკ მღებრიშვილისა

...ხლად აგებულ საკუთარ შენობაში, მაღლობ..., ფიჭვ-ნაძვნარში. პანსიონი შესდგე... ექიმი, საგანგებოდ გამოყვანილია ...ინო და სხვა. სახლიდან მოსჩანს

...ი გრიბოედოვის ქუჩაზე № 25 ...ში. 1202

# იშვიათი ვაჭრობა

მხოლოდ 12 დღით

# იშვიათი ვაჭრობა

# პარიზული მაღაზია

შეკერილი ტანისამოსისა

# ძმ. საფარიანცისა და ტერ-საპოვისა

**მხოლოდ 12 დღით**

ნამდვილი **უდიდესი იაფი ვაჭრობა**

მაღაზიაში არსებულ ყველა საქონლისა

მოდელები: პირველ-ხარისხოვან საზღვარ-გარეთის ფირმებისა (ასლის გადაღების მერე დარჩენილები),

ყოველგვარ ჟურისა და ფასონისა

# იყიდება თითქმის ნახევარ ფასად.

**ფასები აღნიშნულია იარლიკის მეორე მხარეს ფერადის კარანდაშით და**

**ყოვლად შეუვაჭრებლად.**

გოლოვინის პროსპ., სამხედრო ტაძრის პირდაპირ. **ტელეფ. № 2—58.**

მხოლოდ 12 დღით

# მხოლოდ 12 დღით


ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.